8 მარტის გაშუქება ქალთა ჟურნალებში

ლანა მუშკუდიანი, ნინო ცქიფურიშვილი

აბსტრაქტი

სტატიაში დეტალურად გაანალიზებულია 8 მარტის აღნიშვნა 1920-30-იან წლებში საქართველოში. კვლევა ეყრდნობა ჟურნალ „ჩვენ გზასა“ და შემდგომში „მშრომელ ქალში“ გამოქვეყნებულ სარვამარტო სტატიებს. კვლევის თემებია: რა საკითხები შუქდებოდა ქალთა გამოცემებში, როგორ აღინიშნებოდა 8 მარტი მოცემულ პერიოდში, რა პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა ამ დღეს საბჭოთა საქართველოში. ამ სტატიის მიზანია 8 მარტის კრიტიკული გადააზრება და იმ მითის დანგრევა, რომ საბჭოთა რეჟიმმა ქალებს რეალური თანასწორობა მოუტანა.

საკვანძო სიტყვები: 8 მარტი, ფემინიზმი, საბჭოთა კავშირი, ქალთა საკითხები, ქალები ინდუსტრიალიზაციასა და კოლექტივიზაციაში, პროპაგანდა, ცენზურა.

შესავალი

ქალთა საერთაშორისო დღის, 8 მარტის, დაარსების შესახებ რამდენიმე პარალელური ისტორია არსებობს. ერთი მათგანი, 1857 წლის 8 მარტის ნიუ იორკის საფეიქრო მრეწველობის მუშა ქალების გაფიცვას უკავშირდება. ხოლო მეორე, კოპენჰაგენში 1910 წელს გამართულ ქალთა კონფერენციასა და გერმანელი სოციალისტის, კლარა ცეტკინის სახელს. ამ ორი ვერსიიდან რომელიც უნდა იდგეს უფრო ახლოს რეალობასთან, საბჭოთა კავშირის პერიოდში 8 მარტმა შინაარსობრივად სრულიად სხვა დატვირთვა შეიძინა და იგი კომუნისტურ დღედ გამოცხადდა. დღემდე საზოგადოებაში ღრმად ფესვგადგმულია აზრი იმის შესახებ, რომ 8 მარტი კომუნისტური დღესასწაულია. ეს ფაქტი ხელს უშლის იმის აღქმას, რომ ეს თარიღი ქალთა უფლებებს უკავშირდება. სტატიაში ვიკვლევთ სწორედ ამ პროცესს, საქართველოს კონტექსტში. როგორ დაკარგა 8 მარტმა ქალთა საერთაშორისო დღის ფუნქცია და როგორ გადაიქცა პარტიულ დღესასწაულად. ამისათვის ვიკვლიეთ საქართველოში გამომავალი ჟურნალების “ჩვენი გზისა” (1923-1926) და “მშრომელი ქალის” (1926-1939) ყველა ის სტატია, რომელიც 8 მარტს ეხებოდა. ეს პერიოდი ემთხვევა მნიშვნელოვან პოლიტიკურ ცვლილებებს საბჭოთა კავშირში და, მათ შორის,

საქართველოში. ამიტომ, მნიშვნელოვანია, დინამიკაში ვიკვლიოთ, როგორ აისახებოდა ეს პროცესები 8 მარტის აღნიშვნაზე. ეს დაგვეხმარება წარსულის მითების რღვევასა და იმის გარკვევაში, თუ როგორ იდგა ქალთა საკითხი საბჭოთა კავშირში.

2010-იანი წლებიდან საქართველოში ამ დღეს თანდათანობით დაუბრუნდა თავდაპირველი, ფემინისტური დატვირთვა. მაგალითად, 2011 წელს მთავარი თემა ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები იყო, მთავარი მოწოდება კი ასე ჟღერდა: "ჩემი სხეული ჩემი საქმეა" (ფდჯ 2011); 2012 წელს 8 მარტის აქციის მთავარი მიზანი იყო მისი, როგორც კომუნისტური დღის იარლიყის მოშორება და რეალურ შინაარსზე ყურადღების გამახვილება, ხოლო მთავარი გზავნილი იყო: "ეს არ არის 8 მარტი" (ფდჯ 2012); 2013 წელს ზოგადად ქალთა ჩაგვრასა და მის განივთებაზე გამახვილდა ყურადღება (ფდჯ 2013); 2014 წელის 8 მარტს საქართველოში ქალთა შრომით უფლებებზე გაკეთდა აქცენტი. აქციის მონაწილეებს ჩაფხუტები ეხურათ მაღაროელების სოლიდარობის ნიშნად (ნეტგაზეთი 2014), 2015 წელს დემონსტრანტებმა ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობასა და გენდერულ კვოტებზე გაამახვილეს ყურადღება, შესაბამისად, მთავარი ლოზუნგი იყო: "მეტი ქალი პოლიტიკაში", 2016 წელს ლესბოსელ და ბისექსუალ, ასევე შშმ ქალებსა და მარტოხელა დედებზე გაკეთდა აქცენტი, 2017 წელს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები, ასევე, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა იყო წამყვანი თემა, ხოლო გზავნილები ასე ჟღერდა: "ჩემი სხეული ჩემი საქმეა", "დაამსხვრიე შუშის ჭერი". 2018 წელს ტრანსგენდერ ქალთა უფლებები და ქალთა ისტორიის აღდგენა იყო წინა პლანზე წამოწეული და ა.შ. დღეისათვის, 8 მარტს აქტუალური ხდება ის საკითხები, რომლებიც ყველაზე მეტად აწუხებს ქალებს და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფს.

სწორედ ეს იყო 8 მარტის დაარსების თავდაპირველი მიზანიც. იმის მიუხედავად, მისი წარმოშობის რომელ ვერსიას ვირწმუნებთ. როგორც ზემოთ აღინიშნა, ერთი ისტორია 1857 წლის 8 მარტის ნიუ იორკის გაფიცვას უკავშირდება. ცნობილია, რომ საფეიქრო მრეწველობის მუშა ქალები, რომლებიც 8 საათიან სამუშაო დღეს, ღირსეულ ანაზღაურებას, სათანადო სამუშაო პირობებსა და ხმის უფლებას ითხოვდნენ (Arc 2016). ამერიკელი ისტორიკოსის თიმა კაპლანის აზრით კი, ქალთა საერთაშორისო დღის დაარსება ერთმნიშვნელოვნად უკავშირდება კლარა ცეტკინის პოლიტიკურ მოღვაწეობას. ავტორის თქმით, კლარა ცეტკინი ძირითადად მუშათა კლასის ქალთა ინტერესების დამცველად გვევლინებოდა, თუმცაღა ის საკმაოდ აქტიური ოპონენტი იყო ფემინისტებისა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ კლარა ცეტკინი გახდა კომუნისტი და მესამე ინტერნაციონალზე სწორედ მან წარუდგინა

ლენინს ქალთა საერთაშორისო დღის იდეა 1922 წელს. ამ დროიდან ეს დღე გახდა კომუნისტური დღესასწაული და მხოლოდ 60-იანი წლების ბოლოდან მოახერხეს ფემინისტებმა ამ დღისთვის ახალი პოლიტიკური დატვირთვის მინიჭება (კაპლანი 1985).

თუმცა, საქართველოში 8 მარტს მეტწილად კომუნისტური დღესასწაულის სტატუსი ჰქონდა. სტატიაში ვაჩვენებთ, როგორ მოხდა 8 მარტისთვის ამ სტატუსის მინიჭება, რა ძირითადი დანიშნულება ჰქონდა 1920-30-იან წლებში ამ დღეს და რა გზებით ცდილობდა კომუნისტური პარტია 8 მარტისთვის სასურველი დატვირთვის მინიჭებას ქალთა ჟურნალების მეშვეობით.

იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირი ახალი შექმნილი იყო, სახელმწიფოს სჭირდებოდა ეკონომიკური საფუძვლის დადება. 1921 წელს საბჭოთა მთავრობამ შეიმუშავა ახალი ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის მიზანი იყო სამოქალაქო ომის შედეგად ჩამოშლილი ეკონომიკის სწრაფი აღდგენა (ეტვუდი1999). ეს პერიოდი დაემთხვა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას საქართველოში. 1920-30-იან წლებში დაიწყო ინდუსტრიალიზაცია და კოლექტივიზაცია (სურგულაძე 1991). ამას მოჰყვა ეკონომიკის ორი ხუთწლიანი გეგმა (კონკესტი და სხვები. 2018), რომელთა შესასრულებლად, ასევე საჭირო იყო ქალების, როგორც მუშახელის ჩართვა, რადგან ისინი მოსახლეობის ნახევარს შეადგენდნენ (ეტვუდი 1999, გვ. 25). 8 მარტის აღნიშვნა კომუნისტური პარტიის მიერ ქალებამდე ამ გზავნილების მიტანას ემსახურებოდა.

გარდა ამისა, კომუნისტური პარტიის გაცხადებული მიზანი სოციალიზმის მშენებლობა იყო, ლინ ეტვუდის აზრით, ამისთვის საჭირო იყო ახალი საბჭოთა ადამიანის, საბჭოთა ქალისა და კაცის შექმნა. როგორც ავტორი აღნიშნავს, საბჭოთა ქალისგან ელოდნენ, რომ ის ყოფილიყო სამაგალითო მუშა და განევითარებინა თავისი უნარები, რათა შესაფერისი კადრი ყოფილიყო სამუშაო ადგილზე. მას უნდა ჰქონოდა გარკვეული თვისებებიც იმისათვის, რომ ოჯახისა და ბავშვის მოვლის ფუნქციები შეესრულებინა (ეტვუდი 1999, გვ. 3-4). ჟურნალების სარვამარტო სტატიები ამ გზავნილების გასავრცელებლადაც გამოიყენებოდა.

საქართველოში 1920-30-იან წლებში გამოდიოდა ქალთა ჟურნალი "ჩვენი გზისა" (1923-1926), რომელიც 1926 წლიდან 1939 წლის ჩათვლით შეცვალა "მშრომელმა ქალმა". ამ ჟურნალებს გამოსცემდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი. მათ გასაანალიზებლად გამოვიყენეთ დისკურსის კრიტიკული ანალიზის მეთოდი. ეს მეთოდი ერთმანეთთან აკავშირებს სოციალურ მეცნიერებებსა და ენის კვლევას. ენათმეცნიერული მეთოდებით იკვლევს ძალაუფლებრივ

მიმართებას სოციალურ მეცნიერებებში. (ფერკლოუ 1989). ეს მეთოდი ასევე გამოიყენება პოლიტიკოსების სიტყვით გამოსვლის გასაანალიზებლად (ვოდაკი 2001). ჟურნალების სარვამარტო სტატიებში გავაანალიზეთ ის, თუ როგორ ცდილობენ პარტიის ლიდერები თავიანთ სარვამარტო ტექსტებში მკითხველზე გავლენის მოხდენას სხვადასხვა ენობრივი საშუალებით და როგორ იკვეთება ამ ტექსტებში მათი ძალაუფლება კონკრეტული ენობრივი ფორმების გამოყენებით.

მითის დეკონსტრუქცია

ქალთა ჟურნალის „ჩვენი გზის“ (შემდგომში „მშრომელი ქალის“) კითხვისას იქმნებოდა მითი, რომ მმართველი პარტია ყველა პირობას ქმნიდა ქვეყანაში ქალების ემანსიპაციისათვის. ამაში იგულისხმებოდა დასაქმება, კვალიფიკაციის ამაღლება, საბავშვო ბაღების, საერთო სასადილოებისა და სამრეცხაოების მეშვეობით ოჯახური შრომის გარეთ გატანა, დედობის ხელშეწყობა, ოჯახში ძალადობისა და პროსტიტუციისგან გათავისუფლება, მათი დასაქმება მრეწველობის ყველა სფეროში და შესაფერისი ანაზღაურების შეთავაზება. შესწავლილი ჟურნალების მიხედვით, ეს მითი განიცდიდა სახეცვლილებას: თუ 20-იან წლებში აღიარებდნენ ქალთა დაქვემდებარებულობას და ამ პრობლემაზე ამახვილებდნენ ყურადღებას, 30-იანი წლებიდან დაიწყო მუდმივი საუბარი ამ სფეროში მიღწეულ შედეგებზე და აცხადებდნენ, რომ საბჭოთა ქალი უფლებრივად უკვე გათანაბრებული იყო კაცთან ყველა სფეროში და ამ მხრივ პრობლემა აღარ არსებობდა.

ამ მითის გასამყარებლად 8 მარტისადმი მიძღვნილ სტატიებში საუბრობდნენ ქალთა მიღწევებზე, რამდენიმე თვით ადრე ისახებოდა სარვამარტო გეგმები. ამ დღის ზეიმით აღნიშვნა სწორედ ქალთა თავისუფლებისა და თანასწორობის მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო. საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში იმართებოდა საჩვენებელი გამოსვლები, სიტყვით გამოდიოდნენ „აზრთა ლიდერები“, რომლებიც აჯამებდნენ წლიური გეგმის შესრულების ხარისხს; საუბრობდნენ, თუ რამდენი ქალი დასაქმდა, რამდენი ბაგა-ბაღი გაიხსნა, რა წარმატებებს მიაღწიეს ქალებმა დასაქმების ადგილას და ა.შ. მაგალითად: ”8 მარტის აღსანიშნავად ზუგდიდში 1923 წელს გაიხსნა საბავშვო სახლი - სასიხარულო მშრომელ ქალისთვის; 1924 წლის 8 მარტსაც ზუგდიდელი ქალები მოელიან ისეთი დაწესებულების გახსნას, რომელიც ხელს შეუწყობს მათი მონაწილეობის გაზრდას საბჭოთა მშენებლობაში” („ჩვენი გზა“, #5, გვ. 19). აქედან გამომდინარე, 8 მარტს ქალები ზეიმობდნენ ჩაგვრისგან გათავისუფლებასა და

სრულუფლებიან მოქალაქეობას. კვლევის ამ ნაწილში შევეცდებით, ეს მითი რამდენიმე მოსაზრებით გავაბათილოთ.

პირველი, რის გამოც ამ ჟურნალებში წარმოდგენილი ინფორმაცია საეჭვოა არის ის, რომ აქ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემების წყარო არასოდეს ჩანს. შესაბამისად, მკითხველს გაუჭირდებოდა გადამოწმება, რამდენი ქალი მოსამართლე დაინიშნა სინამდვილეში, რამდენი დააწინაურეს საპასუხისმგებლო პოზიციებზე, რამდენი შევიდა პარტიაში, რამდენი დაწესებულება გაიხსნა ოჯახური შრომისგან ქალთა გასათავისუფლებლად და, ამიტომ, გაუჭირდებოდა იმის გარკვევაც, იყო თუ არა ეს მონაცემები ნამდვილი ან საკმარისი რაოდენობის. სტატიების ქვეშაც, ძირითადად, ავტორი არ ჩანს, მხოლოდ ინიციალებია მითითებული, ან სარედაქციო კოლეგიის სახელითაა გამოქვეყნებული. სტატისტიკური მონაცემების გაყალბება მიღებული პრაქტიკა იყო, პირველი და მეორე ხუთწლედები ბოლომდე ვერ სრულდებოდა, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება, იმის გამო, რომ მუშათა კლასში ენთუზიაზმი არ ჩაეხშო, "რიგ დარგებში გეგმის შეუსრულებლობას მალავდა და სასურველს სინამდვილედ ასაღებდა" (სურგულაძე, 1991, გვ. 261). ამიტომ შეგვიძლია საფუძვლიანი ეჭვი შევიტანოთ მათ მიერ ამ ჟურნალებში გამოქვეყნებული ქალთა დაწინაურებისა და პოლიტიკური მონაწილეობის ამსახველი მონაცემების სანდოობაშიც. თანაც, 8 მარტის იმ სტატიებში, სადაც საუბარია ქალთა რაოდენობის ზრდაზე კოლმეურნეობაში, წარმოებაში, ქარხნებში, მ.შ. წამყვან პოზიციებზე და პარტიაში, ყურადღებას ამახვილებენ მხოლოდ რაოდენობრივ მონაცემებზე. არ ხდებოდა ანალიზი იმისა, თუ რამდენად ჰქონდათ ქალებს რეალური შესაძლებლობა გავლენა მოეხდინათ პროცესებზე, ჰქონდათ თუ არა საშუალება, მონაწილეობა მიეღოთ პოლიტიკის შექმნაში და ეპასუხათ ქალთა საჭიროებებისთვის.

კიდევ ერთი მიზეზი, რატომაც 8 მარტის სტატიებში ქალთა თანასწორობა მითოლოგიზებულია ისაა, რომ ჟურნალები არასრულ წარმოდგენას გვიქმნიან რეალობაზე. ავტორებს მოჰყავთ მხოლოდ ის ფაქტები, რაც პარტიის „იმიჯისათვის" არის სასარგებლო. ამ ჟურნალებში თითქმის არც ერთი (განსაკუთრებით, 20-იანი წლების შემდეგ) ფაქტი არაა მოყვანილი ქალთა ჩაგვრისა სსრკ-ში. ასევე ცნობილია, რომ იმ პერიოდში საბჭოთა ხელისუფლება აქტიურად იყენებდა ცენზურის ხერხებს. ცენზურა წარმოადგენს ინფორმაციის აქტიურად შეზღუდვას და ეს შეზღუდვები რამდენიმე ფორმით ხდება: ეს შეიძლება გულისხმობდეს ინფორმაციის განადგურებას ან მიმალვას/არგამოქვეყნებას მის ხელმისაწვდომობაზე სხვადასხვა დაბრკოლების შექმნის გზით. ზოგადად, რაც უფრო რეაქტიულია მთავრობა, მით უფრო ძალისმიერია

მათ მიერ ცენზურის დანერგვის წესები (მარქსი, 1842). აქედან გამომდინარე, სასურველი იერსახის შესაქმნელად ჩვენს საკვლევ ჟურნალებსაც მკაცრად აკონტროლებდა ცენზურა.

ის დასკვნა, რომ ქალი საბჭოთა კავშირში თანასწორუფლებიანი მოქალაქე იყო, საკამათო განზოგადებების საფუძველზე იყო გამოტანილი. პირველ რიგში, ყველა კაპიტალისტური ქვეყანა ერთ კონტექსტში განიხილებოდა და იქ ქალების უფლებრივი მდგომარეობა ცალსახად უარყოფითად იყო წარმოჩენილი. მეორე მხრივ, 8 მარტის სტატიებში მუდმივად მეორდებოდა ტერმინი „აღმოსავლეთის ქალი“, რაც ასევე ჰომოგენურ ჯგუფად იყო წარმოდგენილი და გაურკვეველ ერთობას მოიაზრებდა. ამ განზოგადებებზე მიუთითებს შემდეგი ამონარიდები, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში ქალები „კაპიტალისტურ ჯალათებისგან იღუპებიან“, ხოლო „აღმოსავლეთის მშრომელი ქალი“ მოხსენიებულია ტერმინით „დამონებული“.

საბჭოთა კავშირში ქალთა თანასწორობის მითიურად წარმოჩენაზე მიუთითებს ის ემოციებზე გათვლილი ტერმინები, რომლებითაც ჟურნალის ავტორები მკითხველის დარწმუნებას ცდილობდნენ იმაში, რომ საბჭოთა კავშირის ქალი თავისუფალი, ყველა სხვა კი - ჩაგრული იყო. მაგალითად, კაპიტალისტურ ქვეყნებში და ე.წ. “აღმოსავლეთის” ქვეყნებში მცხოვრები ქალების მდგომარეობის დასახასიათებლად გამოიყენებოდა ორიენტალისტური და მიზოგინიური ფრაზები: „ტიკინა“, „ნივთი“, „ყიდვა-გაყიდვის საგანი“, „მამაკაცის ყურმოჭრილი მონა“, „მეწველი ძროხა“, „დაბეჩავებული“, „უუფლებო“, „კარჩაკეტილი“, „დამონებული“, „გაყვლეფილ ქალთა მილიონები“, „სასოწარკვეთილი დედები, რომლებიც ბავშვებს სიცოცხლეს უსპობენ“. მსგავსი ფრაზები გათვლილი იყო ემოციებზე, რათა მკითხველი უფრო მეტად დარწმუნებულიყო იმაში, თუ რამდენად სავალალო მდგომარეობაში იყო საზღვარგარეთ მცხოვრები ყველა ქალი და რამდენად კმაყოფილი უნდა ყოფილიყო თვითონ ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული პირობებით. მეორე მხრივ, ჟურნალების სარვამარტო სტატიები გაჯერებული იყო ისეთი პოზიტიური და მამოტივირებელი ტერმინებით, როგორიც არის: „ზეიმი“, „მხურვალე“, „აღფრთოვანებით“, „ძლიერ მოწადინებული“, „მხურვალე მონაწილეობა“, „ცხოველად ჩატარება“, „დაუღალავი ენერგიით და მონდომებით“ და ა.შ. ეს სიტყვები მკითხველს მუდმივი მზადყოფნისკენ მოუწოდებდა და სურვილს უჩენდა, ამ საყოველთაო ზეიმში თვითონაც მიეღო მონაწილეობა.

სასურველის სინამდვილედ წარმოჩენა

პირველი, რის გამოც შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირში 8 მარტის აღნიშვნას ნაკლები საერთო ჰქონდა ქალთა უფლებებთან და რეალურად პარტიული პროპაგანდის ნაწილი იყო ისაა, რომ 8 მარტის სტატიები პროპაგანდისთვის დამახასითებელ ყველა ნიშანს შეიცავდა. პროპაგანდა უნივერსალური გაგებით არის ხალხის რწმენის, დამოკიდებულებებისა და ქმედებების მართვის სისტემური მცდელობა. თუმცა, საბჭოთა კავშირში პროპაგანდას განსხვავებული დატვირთვა ჰქონდა. ის მჭიდროდ იყო დაკავშირებული ტერმინთან "აგიტაცია" (სმიტი, 2017). ლენინმა პროპაგანდის ცნება განსაზღვრა როგორც განათლებული საზოგადოების ფორმირებისთვის ისტორიულ-მეცნიერული არგუმენტების გამოყენება, ხოლო აგიტაცია - რომელშიც მოიაზრება ლოზუნგები, იგავები, ნახევრად სიმართლე, - გამოიყენა იმ ხალხის მისამართით, რომლებსაც ნაკლები განათლება ჰქონდა და, მისი შეხედულებით, ნაკლებად საჭიროებდნენ დასაბუთებას. ლენინი პროპაგანდასა და აგიტაციას პოლიტიკური გამარჯვების მისაღწევად გამართლებულ საშუალებებად მიიჩნევდა (სმიტი, 2017). "ადამიანის უფლებათა ლექსიკონში" პროპაგანდის დამახასიათებელი შვიდი ნიშანია აღწერილი (საყვარელიძე 1999, გვ. 128). კვლევის ამ ნაწილში პროპაგანდის ნიშნების მიხედვით დავაჯგუფეთ ის მეთოდები, რომლებსაც ჟურნალები "მშრომელი ქალი" და "ჩვენი გზა" მიმართავდნენ აუდიტორიის რწმენასა და ღირებულებებზე ზემოქმედებისათვის. 8 მარტის სტატიებში კონკრეტულად ეს ნიშნები ვიკვლიეთ.

პირველი, რაც გამოიკვეთა, არის ქალთა საერთაშორისო დღისადმი გადაჭარბებულად სადღესასწაულო განწყობის შექმნა. 8 მარტის დასახასიათებლად გამოიყენება ისეთი ტერმინები, როგორებიცაა "ზეიმი" და მასთან დაკავშირებული სიტყვები. მაგალითად, 1927 წლის "მშრომელი ქალის" მხოლოდ ერთ სტატიაში გვხვდება დღესასწაულის აღმნიშვნელი თითოეული ეს სიტყვა: "აღფრთოვანებით", "საზეიმოდ", "ზეიმით", "მხურვალე", "სიხარულით", "მიესალმნენ", "საზეიმო", "მხურვალე მონაწილეობა", "ძლიერ მოწადინებული", "დიდი ამბით შეხვდნენ", "გახარებული", "ცხოველად ჩატარება", "კარგად", "დაუღალავი ენერგიით და მონდომებით" („მშრომელი ქალი", 1927, #9, გვ. 28). 8 მარტზე წერისას ეს ჟურნალები განსაკუთრებით ხშირად მიმართავენ ზედსართავი სახელის აღმატებით ხარისხს, რაც ამ დღის გარშემო არა მხოლოდ დადებითი განწყობის შექმნისთვის, არამედ ამ განწყობის კიდევ უფრო ამაღლებისთვის გამოიყენება. მაგალითად: „ამ კამპანიამ უნდა შეასრულოს *უდიდესი* როლი ქალთა მშრომელ მასების გამოფხიზლებისა და მათი დარაზმვის საქმეში" ("მშრომელი ქალი", 1928, #19, გვ. 8) "ქალთა საერთაშორისო

კომუნისტური დღის - 8 მარტის დღესასწაული წელს მიმდინარეობს ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის *ბუმბერაზულად* გაშლის პირობებში" ("მშრომელი ქალი", 1931, #7-8, გვ. 1). დადებითი განწყობის შემქმნელი მეთოდები სარვამარტო სტატიებში კომუნისტური პარტიის პროპაგანდისთვისაც გამოიყენებოდა. მაგალითად, ის მოხსენიებულია როგორც ქალთა თანასწორობის ერთადერთი ხელშემწყობი, საბჭოთა კავშირი - როგორც მშვიდობის დამამყარებელი და ჩაგრულთა მხსნელი: "საბჭოთა ქვეყნის ქალები ბედნიერნი არიან იმით, რომ საბჭოთა მთავრობა კი არ დაუშლის მოძრაობასა და მოქმედებას, პირიქით, კომპარტიის ბრძანებით და ხელმძღვანელობით ყველაფერში ხელს შეუწყობს *(მიხა ცხაკაიას სარვამარტო მიმართვა)* ("ჩვენი გზა", 1924, #5, გვ. 5-6); ამ და მსგავს ფრაზებში ვლინდებოდა პროპაგანდის ნიშანი, დადებითი განწყობის შექმნა.

მეორე ნიშანი, ესაა "იარლიყების მიწებება", რაც ნიშნავს "უარყოფითი ემოციის შემქმნელი სახელის შერქმევით ნეგატიური დატვირთვის მინიჭებას მოვლენისადმი, რომლის წინააღმდეგაც გამოდის სუბიექტი" (საყვარელიძე 1999, გვ. 128); ჟურნალებში "ჩვენი გზა" და "მშრომელი ქალი" 8 მარტის სტატიებში არა მარტო დადებითი ემოცია იქმნება 8 მარტზე, კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა რეჟიმზე, როგორც ქალთა უფლებების გარანტზე, არამედ მასთან დაპირისპირებულია ერთი მხრივ, ძველი წყობა, მეფის რუსეთი (და შესაბამისად, ქალთა ჩაგვრა და "კულტურული ჩამორჩენილობა"), ხოლო მეორე მხრივ, კაპიტალიზმი და მისი მომხრე გარე და შიდა ძალები (რომლებიც, ასევე, ცალსახად ქალთა მჩაგვრელებად არიან წარმოდგენილნი). ამის ფონზე ხაზი ესმევა საბჭოთა კავშირის მიერ "პროგრესის შემოტანას". იარლიყების მიწებების მაგალითებია: „ბევრი გადაუტანია მუშა და გლეხ ქალს: ცემა, ტყეპა, ჩაგვრა, დამცირება - ძველი მთავრობის დროს" („მშრომელი ქალი", 1927, #8, გვ. 14-17); "ორი ათეული წლის წინ მეფის რეჟიმისა და ფეოდალურ ჩაგვრას განიცდიდა უუფლებო ქალი, ექსპლოატაციისა და აბუჩად აგდების ობიექტი იყო", "მაშინდელი კანონები და ნორმები ველურად გვეჩვენება დღეს", („მშრომელი ქალი", 1937, #3 გვ. 1); რევოლუციამდელი პერიოდისთვის კულტურული ჩამორჩენილობისა და ქალთა მჩაგვრელის იარლიყების მიწებებითა და "პროგრესის შეტანის" საბაბით ხდება საბჭოთა ძალისმიერი ღონისძიებების გამართლება: „კულტურული რევოლუციის პირველხარისხოვანი ამოცანაა სასტიკი ბრძოლა ქალთა გათანასწორებისათვის", "ქალის მონური მდგომარეობიდან გათავისუფლება როგორც კულტურული რევოლუციის პირველი ნაბიჯი" (1928, #19, გვ. 2-3). როგორც ამ ამონარიდებიდან ჩანს, პროპაგანდის ეს ხერხი გამოყენებულია მკითხველთა დასარწმუნებლად , რომ

საბჭოთა რეჟიმის დამყარებამდე ქალი ყველანაირად ჩაგრული იყო, ხოლო ახლა კომუნისტური პარტია მათ მხსნელად მოევლინა. 8 მარტის სტატიებში "იარლიყების მიწებება" ხდებოდა ასევე კაპიტალისტური ქვეყნებისა და ყველა სხვა ჯგუფისთვისაც, რომელიც სოციალიზმს არ უჭერდა მხარს. მაგალითად: "კაპიტალისტურ ქვეყნებში მშრომელი ქალები მოკლებულნი არიან ყოველგვარ საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებას, მილიონობით უმუშევრად არიან დარჩენილი. ეს ჯოჯოხეთური პირობები იქ, კაპიტალისტურ ქვეყნებში გასტანს მანამდე, სანამ მუშათა კლასი მთელ მშრომელებთან ერთად არ დაანგრევს კაპიტალისტურ სისტემას („მშრომელი ქალი" 1932, #19. გვ. 3-4)"; ამგვარად, კაპიტალისტური ქვეყნების მიმართ "იარლიყების მიწებებით" საბჭოთა კავშირის უპირატესობას ესმებოდა ხაზი.

პროპაგანდის მესამე ნიშანი, რომელსაც ჟურნალების "მშრომელი ქალი" და "ჩვენი გზა" სარვამარტო ნომრებში ვხვდებით, არის „გადაცემა", ერთი პიროვნების, მოვლენის ან იდეის დამახასიათებელი თვისებების გადატანა მეორეზე, "სხვადასხვა დადებითი ასოციაციის მოხმობით საერთო კეთილგანწყობილების ატმოსფეროს შექმნა" (საყვარელიძე 1999, გვ.128). პროპაგანდის ეს ნიშანი გამოყენებულია საბჭოთა ქალის, როგორც ახალი კატეგორიის რეკლამისათვის. მას მიწერილი აქვს ზებუნებრივი თვისებები და დასახულია იდეალად, რომლისკენაც უნდა ისწრაფოდეს საბჭოთა საზღვრებში მცხოვრები თითოეული ქალი: "საბჭოთა ქვეყნის ქალი - ახალი ცხოვრების, უკლასო საზოგადოების, თავისუფალი, თანასწორუფლებიანი შემქმნელი" („მშრომელი ქალი", 1937, #3, გვ. 2); "საბჭოთა სივრცეებს ძლევამოსილად სერავენ და მსოფლიო რეკორდებს ამყარებენ ფრთოსანი გოგონები" („მშრომელი ქალი", 1938, #3, გვ. 2); "ასეთი დიდი უფლებებითა და სტალინური ზრუნვით გარშემორტყმული საბჭოთა ქალი, განმსჭვალული საბჭოთა პატრიოტიზმის დიადი გრძნობით, სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე იძლევა მუშაობის გმირულ მაგალითებს" („მშრომელი ქალი", 1938, #3, გვ. 2). ამ მონაკვეთებიდან ჩანს ის თვისებები, რომელთა გადაცემაც ხდება საბჭოთა ქალისთვის მისი "რეკლამირების" მიზნით.

პროპაგანდის მეოთხე ნიშანია „დადასტურება", გამოჩენილ და ცნობილ ადამიანთა გამონათქვამების ციტირება რამის მხარდასაჭერად, ან საწინააღმდეგოდ (საყვარელიძე 1999, გვ.128). "უკვდავია ლენინის სიტყვები: ...საბჭოთა რესპუბლიკაში თვითეულმა მზარეულმა ქალმაც უნდა იცოდეს სახელმწიფოს მართვა-გამგეობაო"; "ქალების დაუხმარებლად, თანახმად პროლეტარულ რევოლუციის დიდებული ბელადის, ამხ ლენინის სიტყვებისა, კომუნიზმს ვერ განვახორციელებთ"; „...ჩვენი

ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ პოლიტიკა გავხადოთ ხელმისაწვდომი თვითეული მშრომელი ქალისთვის“ (ლენინი); “ქალი კოლმეურნობაში დიდი ძალაა, ამ ძალის უმოქმედოთ დატოვება ნიშნავს დანაშაულის ჩადენას. ჩვენი მოვალეობა მდგომარეობს იმაში, რომ წინ წავწიოთ ქალი კოლმეურნეობებში და ჩავაბათ ეს ძალა საქმეში“ (სტალინი). სარვამარტო სტატიების ავტორები საბჭოთა ბელადების, ლენინისა და სტალინის ციტატების მოშველიებით ქალებს არწმუნებდნენ, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო პოლიტიკაში მათი მონაწილეობა, თუმცა, აქვე მიუჩენდნენ რევოლუციონერების, კოლმეურნეებისა და აღმზრდელების როლს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ 8 მარტის პარტიული მიზნებისთვის გამოიყენებოდა.

პროპაგანდის მეხუთე ნიშანია „უბრალო ადამიანები”, რაც განისაზღვრება როგორც “პროპაგანდისტული იდეების, ან პროდუქტის იდენტიფიცირება “უბრალო ადამიანების” საჭიროებებთან” (საყვარელიძე 1999, გვ. 128). “სახალხო სასამართლოებში დაჩქარდეს და 8 მარტისთვის შეფარდებულ იქნას განხილვა მუშათა და გლეხ ქალებისგან აღძრული ძიების ქმართან გაყრის, ქონების გაყოფის და ბავშვების უზრუნველყოფის საკითხი” (“ჩვენი გზა”, 1923); უნდა მოხდეს უმუშევარი ქალების მდგომარეობის შესწავლა და უკიდურესად გაჭირვებულები გაიგზავნონ სამუშაოზე (“ჩვენი გზა”, 1924, #5, გვ. 2); ძირს სამზარეულოში მონობა - გაუმარჯოს საზოგადოებრივ კვებას („ჩვენი გზა“, 1924, #5. გვ. 12). მართალია, ამ გზით მთავრობა ქალებს მათზე მზრუნველად წარუდგენდა თავს, თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ 20-იანი წლების ბოლოდან სტატიებში ქალთა საჭიროებებზე საუბარი საგრძნობლად იკლებს, ხდება შაბლონური, და წინა პლანზე გადმოდის მათი აღმოფხვრის მიზეზი - ქალი უფრო დაუბრკოლებლად ჩაერთოს კომუნიზმის მშენებლობაში.

პროპაგანდის კიდევ ერთი ნიშანია „ბანქოს ჩაწყობა” - ფაქტების ცალმხრივი წარმოჩენა და ისე განლაგება, რომ მკითხველი მხოლოდ ერთ დასკვნამდე მივიდეს (საყვარელიძე 1999, გვ. 128). 30-იანი წლებიდან ამ ხერხით ავტორები “არწმუნებენ” მკითხველს, რომ ქალთა კეთილდღეობისათვის პარტიამ ყველაფერი გააკეთა და შედეგები მიღწეულია: “ქალების ჩაბმა პარტიის მუშაობაში ცხადყოფს, რომ პარტიამ მათში ნდობა დაიმსახურა” („მშრომელი ქალი“, 1928, #19, გვ. 4); “მთავრობის მიერ გამოცემული მთელი რიგი კანონების ძალით დაცულია ჩვენი ქვეყნის ბედნიერი დედისა და ბავშვის უფლებები”; („მშრომელი ქალი“, 1938, #3, გვ. 2). ჟურნალებში, ცხადია არაფერია ნათქვამი პარტიაში იძულებით გაწევრიანების პრაქტიკაზე (სურგულაძე 1991, გვ. 265). ხოლო რაც შეეხება დედასა და ბავშვზე “სტალინურ

ზრუნვას", ოჯახის შესახებ 1936 წლის კოდექსით აიკრძალა აბორტი. შედეგად, "ოჯახის იდეალურმა, შვიდ-რვაშვლიანმა მოდელმა, გააუარესა ცხოვრების პირობები და ქალის შრომისა და დედობის ისედაც მძიმე ტვირთს დაემატა" (გოლდმანი 1993, გვ. 341).

პროპაგანდის მეშვიდე ნიშანი, რომელიც სარვამარტო სტატიებში გვხვდება, არის „არ დაგვაგვიანდეს", იგი განიმარტება როგორც "რომელიმე მოსაზრების მხარდაჭერის მეთოდი, როდესაც პროპაგანდისტი აუდიტორიას უქმნის შთაბეჭდილებას, რომ ყველა დანარჩენი უკვე ასე ფიქრობს და ამიტომ, საჭიროა დროული გაერთიანება უმრავლესობასთან" (საყვარელიძე 1999, გვ. 128). ამის მაგალითია შემდეგი ციტატა: *"ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ სახელმწიფოებში და განათლებულ ევროპა-ამერიკა-იაპონიაში მუშები და ქალები სისხლის ოფლს ღვრიან ყოველ დღე და საათს მყვლეფელ ბატონ მდიდრებთან... გერმანიაში მუშა ხალხი წვრილი და შუათანა შეძლების წრეებიც კი უკიდურეს გაჭირვებასა და შიმშილს განიცდიან და მას ჩქარა თუ არ მოუსწრო პროლეტარულმა რევოლუციამ და არ გაასაბჭოა ჩვენსავით, გადაშენების გზაზე არიან" (მიხა ცხაკაია), ("ჩვენი გზა",1924, #5, გვ. 5)*

როგორც ზემოთ განხილულ მაგალითებში ჩანს, ჟურნალი "ჩვენი გზა" და მოგვიანებით "მშრომელი ქალი" პროპაგანდის სხვადასხვა მეთოდს მიმართავდა, რათა აუდიტორია, მშრომელი ქალი, პარტიის პოლიტიკის ეფექტურობაში დაერწმუნებინა და ხაზი გაესვა, რომ კომუნისტური მთავრობა ყველაფერს აკეთებდა ქალთა უფლებების მხარდასაჭერად. თუმცა, პროპაგანდის ეს ნიშნები იმაზეც მეტყველებს, რომ ხშირად დარწმუნების მეთოდები საეჭვო და ცალმხრივი იყო, ისინი არ ასახავდა რეალობას, მალავდა ან არასრულად წარმოაჩენდა ფაქტებს და მოქმედებდა მკითხველის ემოციებზე, როგორც დაშინების, ისე წახალისების გზით. 8 მარტის სტატიებში გამოყენებული პროპაგანდის მიზანი ახალი, საბჭოთა კავშირის მიმართ ლოიალურად განწყობილი და შრომითი გმირობებისთვის მზადმყოფი ქალის შექმნა იყო და მას ნაკლები საერთო ჰქონდა ქალთა ცნობიერების ამაღლებასთან.

საუბრის უფლება

ნებისმიერი ჯგუფის თავისუფლების მთავარი მაჩვენებელი ხმის ფაქტობრივი უფლებაა. ქალთა ჟურნალებში 8 მარტს ქალებს მხოლოდ სანახევროდ ეთმობოდათ ტრიბუნა. "ჩვენი გზისა" და "მშრომელი ქალის" ფურცლებზე 8 მარტის შესახებ საუბრის

პრივილეგია ერთმნიშვნელოვნად კაცებს ენიჭებოდათ. ამას ამძიმებდა ისიც, რომ ეს კაცები მმართველი, კომუნისტური პარტიის ლიდერები იყვნენ (ფილიპე მახარაძე[1], მიხეილ კალინინი[2], გაზანფარ მუსაბეკოვი[3], მიხეილ კახიანი[4], მიხა ცხაკაია[5], ლავრენტი ბერია[6] და სხვ.), კიდევ ერთხელ ამყარებს იმ მოსაზრებას, რომ 8 მარტის აღნიშვნას საბჭოთა კავშირის ამ პერიოდში ნაკლები საერთო ჰქონდა ქალთა ფაქტობრივ თანასწორობასთან და ის მხოლოდ პარტიული დღესასწაული იყო. ჟურნალებიდან საუბრის აქტით ამ პოლიტიკურ მოღვაწეებს ენიჭებოდათ სუბიექტის ფუნქცია, ხოლო მათი მიმართვის ობიექტები ხდებოდნენ ქალები. ამგვარად, იქმნებოდა ერთგვარი ძალაუფლებრივი იერარქია, რომლის ქვედა საფეხურზეც ქალები ექცეოდნენ.

იერარქიას კიდევ უფრო აძლიერებდა ის ენობრივი ფორმები, რომლებსაც პარტიის ლიდერი კაცები იყენებდნენ 8 მარტზე საუბრისას. ძირითადად, ეს იყო მონოლოგური ხასიათის ტექსტები. ზოგჯერ სიტყვით გამოსვლა, ყველაზე ხშირად კი - მიმართვა (დავალება/გეგმა/დადგენილება), რაც 8 მარტზე დაწერილი მასალის ყველაზე გავრცელებული ფორმა იყო. მიმართვის მონოლოგური ხასიათი და უკუკავშირის შესაძლებლობის არარსებობა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მიმართვის სუბიექტსა და ობიექტს - პარტიის ლიდერ კაცებსა და მკითხველ მშრომელ ქალებს შორის ძალაუფლებრივ იერარქიას. მეორე მხრივ, 8 მარტის შესახებ ტექსტებში იყო მხატვრული ფორმებიც: ლექსი, ნოველა, ფელეტონი, რომელთა ავტორები უმეტესად ქალები იყვნენ. ქალი ავტორები (საფო მგელაძე, მარიამ გარიყული, ლიდია მეგრელიძე) ქალ მკითხველს შედარებით გასაგები, მარტივი და ადვილად აღსაქმელი ფორმით - ლექსის სახით გადასცემდნენ სათქმელს, რაც მკითხველსა და ავტორს შორის ნაკლებად ქმნიდა იერარქიას.

საგულისხმოა ზმნის ის ფორმები და გრამატიკული დროც, რომლებიც ამ ტექსტებში გამოიყენებოდა. ის, თუ რომელ პირსა და რიცხვში იდგა ზმნა, მიუთითებდა იმაზე, თუ რა სახის იყო კომუნიკაცია. ერთი მხრივ, იყო ზმნები, რომლებიც დავალების

---

[1]1905-07 რევოლუციის აქტიური მონაწილე. ეწეოდა პარტიულ-პოლიტიკურ პროპაგანდისტულ მუშაობას, თანამშრომლობდა ლეგალურ ბოლშევიკურ პრესაში.

[2] სკკპ(ბ) წევრი 1931 წლიდან.

[3] 1918 წ-დან საკავშირო კპ(ბ) წევრი, საკავშირო კპ(ბ)-ის ცენტრალური კომიტეტის წევრობის ყოფილი კანდიდატი.

[4] საქართველოს ცეკას პირველი მდივანი.

[5] რევოლუციონერი და კომუნისტური პარტიის მუშაკი,

[6]სსრკ სახელმწიფო და პოლიტიკური ფიგურა (8 მარტისადმი მიძღვნილ სტატიაში მონათლულია როგორც ქართველი მშრომელი ქალების ხელმძღვანელი).

მიცემის ხასიათს ატარებდა, ვნებით გვარში იდგა და პირდაპირ არ მიანიშნებდა, თუმცა მოიაზრებდა დამვალებლისა და შემსრულებლის როლებს: უნდა ჩატარდეს, უნდა მოხდეს, გაიგზავნოს, დაჩქარდეს, შეფარდებულ იქნას, უნდა განთავისუფლდნენ, უნდა მოეწყოს, მთავარი თემები უნდა იყოს („ჩვენი გზა“1924,#5,გვ2) მეორე მხრივ, იყო ზმნები, რომლებიც მესამე პირსა და მრავლობით რიცხვში იდგა და ნათლად გამოხატავდა მოქმედების სუბიექტსა (პარტიას) და ობიექტს (ქალებს): მონაწილეობა მიიღონ, გავიდნენ, უნდა შეუწყონ ხელი, განუმარტონ, დააწინაურონ, წოდებები მიანიჭონ, შეამოწმონ, უნდა დაათვალიერონ, წაიკითხონ, უნდა იმსჯელონ („მშრომელი ქალი“1928,#19 გვ.7-8). მესამე ჯგუფი ზმნებისა იყო მეორე ობიექტურ პირსა და მრავლობით რიცხვში, სადაც პარტია პირდაპირ მიუთითებდა მშრომელ ქალს შესასრულებელი ამოცანებისკენ: უნდა დაიჭიროთ, უნდა უჩვენოთ, გაშალეთ, დაირაზმეთ, გამოაცხადეთ, მოაწყვეთ, გამოააშკარავეთ, შეამოწმეთ, მოაწყეთ, გაშალეთ, მონაწილეობა მიიღეთ, იბრძოლეთ, გასწიეთ წინ, შეასრულეთ, განამტკიცეთ („ჩვენი გზა“1931, #7-8, გვ. 1). და მხოლოდ მცირე რაოდენობით იყო ზმნების მეოთხე ჯგუფი, (პირველი სუბიექტური პირი, მრავლობითი რიცხვი), რაც პარტიის ლიდერებისა და მშრომელი ქალების თანამონაწილეობაზე მიუთითებდა: ჩვენ შევძლებთ გავამრავლოთ, გავსწევთ, ერთად ვაჭედინოთ ბედი („ჩვენი გზა“, 1924, #5, გვ. 5), წავახალისოთ, ავაშენოთ. როგორც ზმნების გარკვეული კატეგორიების გამოყენება აჩვენებს, კომუნიკაცია პარტიასა და ადრესატს, მშრომელ ქალს შორის, უმეტესად არაპირდაპირი იყო, იშვიათად ჩანდა თანამონაწილეობა, ხოლო პოტენციური მკითხველის - მშრომელი ქალისთვის უკუკავშირის შესაძლებლობის არქონა ამ ძალაუფლებრივ იერარქიას კიდევ უფრო ამყარებდა.

იერარქიაზე მეტყველებს 8 მარტთან დაკავშირებით მშრომელი ქალის დაწერილი პირობა, რომ ის პარტიულ დავალებებს პირნათლად შეასრულებს:

> „მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღეს - 8 მარტს ჩვენი წარმოების მუშა-ქალები *სიტყვას ვიძლევით*, რომ გაათკეცებული ენერგიით *ვიბრძოლებთ* ხუთწლედის მეოთხე, დამამთავრებელი წლის დავალებათა როგორც რაოდენობითი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლების გადაჭარბებით შესრულებისთვის. *მტკიცედ გავატარებთ* პარტიის გენერალურ ხაზს პრაქტიკაში, *დაუნდობლად ვიბრძოლებთ* მემარჯვენე გადახრის, როგორც მთავარი საფრთხის, და „მემარცხენე“ გადახვევების წინააღმდეგ, *მთელს ძალღონეს მოვახმართ* სოციალისტური მშენებლობის ტემპების გაძლიერებას, ხოლო, თუ იმპერიალისტები შეეცდებიან ჩვენს სოციალისტურ სამშობლოზე თავდასხმას და

სოციალისტური მშენებლობის შეფერხებას - ჩვენ, მუშა ქალები, მამაკაცებთან ერთად, როგორც ერთი კაცი, *გამოვალთ იარაღით ხელში* და *მთელი ენერგიით დავიცავთ* ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარს" („მშრომელი ქალი", 1932, #3-4, გვ. 22-23)

სტატიაში, "როგორ ჩავატარეთ 8 მარტი", ავტორი წერს ანგარიშს, სადაც ზემოთ გაცემული განკარგულებების შესაბამისი ზმნები ("მოეწყოს", "ჩატარდეს", "დააწინაურონ", "მიანიჭონ") უკვე წარსულის ფორმით, თუმცა უმეტესად ისევ ვნებით გვარში მოჰყავს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დადგენილება შესრულებულია, თუმცა, ავტორი თანამონაწილედ არ გრძნობს თავს, ან თანამონაწილეობის ფაქტი უკანა პლანზეა გადაწეული: ფაბრიკაში *ჩამოყალიბდა* 8 მარტის საორგანიზაციო კომისია, *შემუშავდა* გეგმა; *ჩამოყალიბდა* 8 მარტის სახელობის დამკვრელ ქალთა 4 ბრიგადა, *გამოიყო* ქალთა საერთაშორისო დღესასწაულის ჩატარებისა და ცეხების მუშაობის შემმოწმებელი ერთი ბრიგადა; *მოეწყო* საზეიმო საღამო, *დაწინაურებულ იქნა* 4 დამკვრელი ქალი, *გამოშვებულ იქნა* სპეციალური კედლის გაზეთი ("მშრომელი ქალი", 1932, #3-4, გვ. 22-23) და ა.შ. მიმართვებისა და საპასუხო ანგარიშების ავტორების მიერ ზმნის ამ ფორმების გამოყენებით, 8 მარტის სტატიების კითხვისას იქმნება ბრძანების გაცემისა და შესრულების ერთგვარი უწყვეტი ჯერის განცდა; ამას დამატებული ისიც, რომ ზმნები უმეტესად მოქმედების (ძალიან იშვიათად მდგომარეობის) გამომხატველია და ხშირად სამხედრო მითითებების ასოციაციას იწვევს (გაშალეთ, დაირაზმეთ, გამოაცხადეთ, მოაწყვეთ, გამოააშკარავეთ, დარაზმეთ, შეამოწმეთ), მიუთითებს ქალთა გასამხედროებული წესით მართვაზე და ძალიან ცოტა სივრცეს ტოვებს მათი საჭიროებების კვლევისა და განხილვისთვის.

მართალია, განხილული ჟურნალების სარვამარტო ნომრებში გარდა კაცებისა, საუბრობდნენ ქალებიც, თუმცა, თავიდან მხოლოდ ბოლშევიკური პარტიის ლიდერი ქალები: კლარა ცეტკინი[7], როზა ლუქსემბურგი[8], ალექსანდრა კოლონტაი[9], ნადეჟდა კრუპსკაია[10]. ისინი ქალთა საერთაშორისო დღის ბელადებად ითვლებოდნენ და

[7] გერმანელი პოლიტიკური მოღვაწე, გერმანიისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მონაწილე, ქალთა უფლებების აქტივისტი

[8] პოლონელი მარქსიზმის თეორეტიკოსი, კლარა ცეტკინის თანამებრძოლი და ქალთა უფლებების აქტივისტი

[9] რუსი სოციალ-დემოკრატი, საერთაშორისო სოციალისტ ქალთა მოძრაობის აქტივისტი

[10] მუშათა ოპოზიციის ლიდერი, რევოლუციონერი, მუშაობდა კომისარიატში განათლების საკითხებზე, ის აქტიურად იყო ჩართული ბოლშევიკური და მოგვიანებით კომუნისტური პარტიის მშენებლობაში.

სარვამარტო სტატიების მეშვეობით მკითხველს შესასრულებელი გეგმების შესახებ ამცნობდნენ, აქტიურად მოუწოდებდნენ მაქსიმალურად ჩართულიყვნენ ამ გეგმების შესრულების პროცესში. მაგრამ ის ფაქტი, რომ სარვამარტო სტატიებში კაცების გარდა, პარტიის ლიდერი ქალებიც საუბრობდნენ, ჯერ კიდევ არ ნიშნავდა იმას, რომ ეს ჟურნალები ქალთა პერსპექტივას სრულად ასახავდა.

1930-იანი წლების დასაწყისიდან 8 მარტის სტატიების ავტორებში თანდათან ჩნდებიან მუშა და დამკვრელი ქალები, მაგალითად: "მუშა ქალი", "მკერავი", "აქაური", "თამბაქოს ფაბრიკა № 2, დამკვრელი, ქ. მგალობლიშვილი; ნ. აღლაძე; საქ. კომპარტიის ცეკას მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილება, ელო ყანჩაშვილი, სონა დ-ძე, ნაზირა, მოჯამაგირე მარია ლევიძე, ლ. დოლიძე და ა.შ. თავიდან მხოლოდ ფოტოები გვხვდება მუშა და კოლმეურნე ქალებისა, 30-იანი წლების ბოლოდან კი უკვე მათი წერილებიც ჩნდება. ეს ტექსტები ძირითადად ეხება დასაქმების ადგილზე მიღწეულ შედეგებს და ანგარიშის ხასიათს ატარებს, ან მოჰყავთ პიროვნული ზრდისა და საკუთარი წარმატების მაგალითები. ისინი იშვიათად საუბრობენ დასაქმების ადგილზე არსებულ ან სხვა პრობლემებზე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ 30-იანი წლებისთვის ეს ჟურნალები ქალთა საჭიროებების განხილვაზე არ იყო კონცენტრირებული და 8 მარტს პარტიის პროპაგანდისთვის იყენებდა.

ჟურნალში "ჩვენი გზა" ("მშრომელი ქალი") ხშირად ავტორი არ ჩანს ან ავტორია „რედაქცია". ქალთა ჟურნალების რედაქციებში ხშირად კაცები მუშაობდნენ. ამ მხრივ შეგვიძლია პარალელი გავავლოთ რუსულ ქალთა ჟურნალ "რაბოტნიცასთან", რომლის ქართული ანალოგიც იყო ქართული "მშრომელი ქალი". ამ გამოცემებში კონტროლდებოდა დასაბეჭდი სტატიების, ლექსების, მოთხრობების შინაარსი. მასალა ძირითადად უნდა ყოფილიყო მოტივაციის მიმცემი და პოზიტიური შინაარსის შემცველი (ეტვუდი, 1999, გვ. 27-29). ავტორები 8 მარტზე ტექსტებში აწვდიდნენ ქალებს სასურველი ან საჭირო ქალის მოდელს: "მოდაზე" არ უნდა იფიქროს, ტუჩებშეღებილი, თვალებმიბნედილი, სამკაულებით, დილით სარკით - ამეებით თუ გართული იქნება, თავისუფალი ვერ შეიქმნება. საკითხს სხვანაირად უნდა მიუდგეს, მამაკაცს გვერდში ამოუდგეს და ჭირი და ლხინი გაუყოს („მშრომელი ქალი", 1931, #7-8, გვ. 2). ასევე, მუდმივად საუბრობდნენ იმაზე, თუ რა როლი უნდა ჰქონოდა ქალს ოჯახში და სახელმწიფოს შენების პროცესში, რა უნდა გაეკეთებინათ იმისთვის, რომ ქალთა პოტენციალი მაქსიმალურად გამოეყენებინათ. ქალთა ჟურნალების რედაქციების მამაკაცებით დაკომპლექტებაც, იმის მაჩვენებელია, რომ ქალთა სიტყვისა

და გამოხატვის უფლება გარანტირებული არ იყო და 8 მარტსაც კი, მათ საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება არ ეძლეოდათ.

როგორც ამ ფაქტებიდან ჩანს, ქალთა ჟურნალებშიც კი, ქალებს, და განსაკუთრებით რიგით მშრომელ ქალებს 8 მარტსაც კი ნაკლებად ჰქონდათ საუბრის შესაძლებლობა. მათ ნაცვლად პარტიის ლიდერი კაცები, პარტიის ლიდერი ქალები, ან ისევ კაცებით დაკომპლექტებული ე.წ. რედაქცია საუბრობდა. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც განსაკუთრებული შრომითი დამსახურებების მქონე ქალის სტატია იბეჭდებოდა, მას შედარებით მცირე ადგილი ეთმობოდა და თემა კვლავ სამუშაო და პროფესიული წინსვლა იყო. პრობლემურ საკითხებზე მათი აზრი იშვიათად ისმოდა. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს 8 მარტის აღნიშვნის ზედაპირულ ხასიათსა და მის ვიწრო პარტიული მიზნებისთვის გამოყენებას.

8 მარტი დინამიკაში

სახელმწიფოს პოლიტიკა ქალთა საკითხების მიმართ 1920-30-იან წლებში არ ასახავდა ქალების რეალურ საჭიროებებს, კომუნისტური პარტიის ჟურნალებში "ჩვენ გზასა" და "მშრომელ ქალში" 8 მარტი, ქალთა საერთაშორისო დღე, შუქდებოდა ძირითადად როგორც კომუნისტური დღესასწაული და მის რეალურ მნიშვნელობაზე საუბარს ძალიან ცოტა ადგილი ეთმობოდა. სტატიებში, ისიც მხოლოდ მცირე ნაწილში, და მხოლოდ 20-იანი წლების დასაწყისში თითო აბზაცით თუ იყო მოთხრობილი 8 მარტის ისტორიისა და მნიშვნელობის შესახებ. მაგალითად, 1924 წლის "ჩვენ გზაში" აღწერილი იყო 8 მარტის დაარსების ისტორია (#5, გვ. 13-14) და სტატიაში ეს თარიღი დაკავშირებული იყო კლარა ცეტკინის სახელთან. ჟურნალის მიხედვით, პირველად ეს დღე აღნიშნეს ავსტრიასა და გერმანიაში, 1911 წლიდან შეუდგნენ მის რეგულარულ აღნიშვნას. ჟურნალში ნათქვამია, რომ თავიდან ეს თარიღი 19 მარტს აღინიშნებოდა, რადგან 1848 წლის 19 მარტს პრუსიის მეფე, სხვა უფლებებთან ერთად, ქალებზე საარჩევნო უფლების გავრცელებასაც დაპირდა ხალხს. იმავე წყაროს ინფორმაციით, კონფერენციამ შემდეგ გადაწყვიტა, 8 მარტი ქალთა საერთაშორისო დღედ ამოერჩია. რუსეთში პირველი ცდა ამ დღესასწაულის აღნიშვნისა იყო 1913 წლის 8 მარტი, 1914 წელს ვერ მოხერხდა, 1917 წელს 7 მარტს ომის საშინელებით განაწამები პეტროგრადის მშრომელი ქალები გამოდიან და ქმრების და ძმების სანგრებიდან დაბრუნებას ითხოვენ. ეს არის ის ცნობები, რასაც 1924 წლის "ჩვენ გზაში" ვხვდებით. ჟურნალი 1926 წლიდან სახელს იცვლის და ხდება "მშრომელი ქალი". 1928 წლიდან 8

მარტის დაარსებისა და თავდაპირველი ფუნქციის შესახებ მიმოხილვა ამ ჟურნალში თითქმის აღარ გვხვდება. ფაქტობრივად, ეს არის ბოლო, შედარებით ვრცელი ცნობა, ამ წყაროებში.

თუ ოციანი წლების პირველ ხანებში სარვამარტო სტატიებში ჯერ კიდევ ეთმობოდა ადგილი ქალთა საჭიროებებზე საუბარს, მაგალითად, გენდერული დისკრიმინაციისა და სექსუალური შევიწროების აღმოფხვრას სამუშაო ადგილებზე, შინ შრომის შემსუბუქებას, ოჯახში ძალადობას და სხვა, 20-იანი წლების ბოლოდან და 30-იანი წლების დასაწყისიდან, ნაცვლად ამისა, 8 მარტის სტატიებში ძირითადად საუბარია ისეთ თემებზე, როგორებიცაა კოლექტივიზაცია, კოლმეურნეობებში ქალთა ჩართვის აუცილებლობა, ინდუსტრიალიზაცია, დაზგებთან მუშაობის შესწავლისა და ცოდნის გაუმჯობესება, სოფლის მეურნეობაში ქალის როლი, სოცშეჯიბრებებში მონაწილეობის, შრომითი გმირობის, მარტის თესვის კამპანიაში ჩართვის, პარტიასა და კომკავშირში გაწევრიანებისკენ მოწოდება; ზოგჯერ, ქარხნების წამყვან პოზიციებსა და მუნიციპალურ საბჭოებში ქალთა დანიშვნისა და დელეგატებად ქალების არჩევის წახალისებაც. ეს ცხადყოფს, რომ სახელმწიფო სხვადასხვა ეტაპზე ქალების მიმართ სხვადასხვა პოლიტიკას ატარებდა. პოლიტიკის ცვლილება დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რა პერიოდში რა საჭიროება ჰქონდა პარტიას, იქნებოდა ეს კოლექტივიზაცია, კულაკობასთან ბრძოლა, ინდუსტრიალიზაცია, სამხედრო ინტერვენციები სხვა ქვეყნებში თუ სხვა. ამის მიხედვით იცვლებოდა სარვამარტო ლოზუნგები და ეს ჩანს იმ უამრავი განსაზღვრებიდან და სახელწოდებიდანაც, რომლითაც 8 მარტი ამ ჟურნალებში მოიხსენიებოდა:

1923: დედაკაცების პროცესია

1924: პროლეტარ ქალთა არმიის მებრძოლთა გადათვალიერების დღე

- მთელი ქვეყნის მშრომელთა სოლიდარობის და მთლიანობის დღე
- მშრომელ ქალთა რევოლუციონური მოძრაობის საერთაშორისო დღე
- „დედაკაცების უქმე“
- ქალთა საერთაშორისო კომუნისტური დღე
- ინტერნაციონალურ კომუნისტური 8 მარტის დღესასწაული

1927: მშრომელთა დღესასწაული

1928: საერთაშორისო ქალთა დღე;

- მუშა და გლეხი ქალების დღე
- საერთაშორისო დღესასწაული, სადაც მსოფლიოს ქალები ერთიანდებიან იმპერიალისტური ჩაგვრისგან გასათავისუფლებლად
- არ მხოლოდ ქალების დღე, არის მშრომელთა დღესასწაული

1929: კლასობრივი ბრძოლის დღე, იმპერიალიზმის წინააღმდეგ
1931: 8 მარტი დათვალიერების, დამკვრელ(თა) დღე

- სოციალიზმისათვის მებრძოლ საერთაშორისო ქალთა ძალების შემჭიდროვების დღე
- მუშა ქალების მიღწევების დემონსტრირების დღე
- ქალთა საერთაშორისო კომუნისტური დღე;

1932: ქალთა საერთაშორისო ინტერნაციონალური დღე

- ქალთა მე-22 კომუნისტური დღე
- ქალთა საერთაშორისო კომუნისტური დღე
- 8 მარტის დღესასწაული

1933: ქალთა საერთაშორისო კომუნისტური დღე

- ქალთა ინტერნაციონალის დღე
- საერთაშორისო კომუნისტურ ქალთა დღე
- დამკვრელი ქალის დღე

1936: საერთაშორისო კომუნისტური დღე
1937: საერთაშორისო ქალთა კომუნისტური დღე
1938: ქალთა საერთაშორისო კომუნისტური დღე

- 8 მარტი ჩვენში, საბჭოთა კავშირში, არის ლენინ-სტალინის დიადი პარტიის გარშემო საბჭოთა კავშირის მშრომელ ქალთა მასების შემჭიდროვების დემონსტრაციისა და ქალთა გათავისუფლების ფრონტზე მოპოვებულ მიღწევათა შემოწმების დღე.

1939: 8 მარტი როგორც მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიდ იდეათა დღესასწაული.

როგორც სახელწოდებებიდან ჩანს, 1924 წლის 8 მარტს მნიშვნელოვანი იყო, პარტია დარწმუნებულიყო, რომ ქალები რევოლუციური სულისკვეთებით იყვნენ განმსჭვალულნი და რაც შეიძლება მეტ ქალს დაეჭირა მხარი რევოლუციისთვის. რადგან, როგორც ცნობილია, 1921 წლიდან მოყოლებული, 1924 წლის ჩათვლით საქართველოში გრძელდებოდა აჯანყებები ანექსიისა და საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ (სურგულაძე 1991, გვ. 238-256). თუმცა, 8 მარტის სათაურში ნახსენები "პროლეტარ ქალთა არმიის" არსებობა ეჭვქვეშ დგება იქიდან გამომდინარე, რომ მაშინდელი განსაზღვრების მიხედვით, "პროლეტარად" არ ითვლებოდნენ შინამოსამსახურე და ის ქალები, რომლებსაც არასოდეს ემუშავათ ანაზღაურებად სამსახურში, ანუ ქალები "კლასს არ მიკუთვნებულებად" (class aliens) მიიჩნეოდნენ (გოლდმანი 2002, გვ. 10). 1927 წლისთვის რევოლუციის გამარჯვება უკვე საბოლოოდ იყო გადაწყვეტილი, პარტია არწმუნებს მკითხველს, რომ ძალაუფლება მათი, მშრომელების ხელშია და ზეიმის დროა; ყურადღება მახვილდება პროგრესზე და

ყველაფერი ძველი, მათ შორის: ქალთა შინ შრომა, ჩადრები, რელიგია - კრიტიკის ობიექტი ხდება. 1928 წლისთვის 8 მარტი უკვე საერთაშორისო დღის დატვირთვით გვევლინება, მშრომელთა ჩაგვრა და იმპერიალიზმი გლობალურ პრობლემად ცხადდება, 8 მარტი კი - ქალების მიერ ამ პრობლემასთან ბრძოლის საერთაშორისო დღედ. 1931 წლიდან, მას შემდეგ, რაც პირველი ხუთწლედი შუა ფაზაში შედის, რაშიც ქალების აქტიურ შრომას დიდი წვლილი აქვს, ყურადღება მშრომელ ქალთა მიღწევების დემონსტრირებაზე მახვილდება, 8 მარტსაც, ფოკუსშიც ეს ფაქტი ექცევა. "გამოაცხადეთ 8 მარტი დათვალიერების დამკვრელ დღედ, მოაწყვეთ ბრიგადები, გამოააშკარავეთ მიღწევები და დეფექტები ჩვენს მშენებლობაში, დარაზმეთ მშრომელი ქალები პარტიის გენერალური ხაზის განსახორციელებლად, შეამოწმეთ ქალის შრომის მდგომარეობა წარმოებაში", - წერს ჟურნალი "მშრომელი ქალი" 1931 წელს (#7-8, გვ. 1). მეურნეობაში ქალთა ჩართვისკენ მოწოდება განსაკუთრებით ძლიერდება 1932 წლის 8 მარტისთვის, სადაც ამ ლოზუნგებსა და მოწოდებას ჟურნალში მასშტაბური ადგილი ეთმობა. იმის მიუხედავად, რომ რუბრიკისა და სტატიების სათაურებში გამოტანილია 8 მარტის სათაური როგორც "ქალთა საერთაშორისო დღე" სტატიებში მთავარი აქცენტი წარმოებაში ქალთა ჩართვაზე კეთდება. საყურადღებოა ამ მხრივ საქართველოს კომუნისტური პარტიის დადგენილება, სადაც დეტალურადაა გაწერილი მთელ ქვეყანაში 8 მარტის ჩატარების გეგმა („მშრომელი ქალი", 1931, #3-4, გვ. 17):

სადელეგატო კრებების გადარჩევისა და ქალთა საერთაშორისო კომუნისტური დღის - 8 მარტის ჩატარების შესახებ (საქ. კ. პ. (ბ) ცკ. კ.-ის სამდივნოს 28/II-ის დადგენილება)

> *1. სადელეგატო კრებების გადარჩევა და ქალთა საერთაშორისო კომუნისტური დღე 8 მარტი ჩაატარონ მშრომელ ქალთა შორის წარმოებული მუშაობის შემოწმებისა და მუშა, კოლმეურნე და ღარიბ-საშუალო გლეხ ქალთა მასების პარტიის მორიგი ამოცანების გარშემო დარაზმვის ლოზუნგებით - ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებისთვის, კულაკობისა და სხვა კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ შემდგომი გადამწყვეტი სოციალისტური შეტევისათვის, კოლმეურნეობათა ორგანიზაციული, სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცებისათვის, გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის წარმატებით ჩატარებისთვის, ხუთწლედის მეოთხე დამამთავრებელი წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებისა და მეორე ხუთწლედის განსახორციელებლად მომზადებისთვის, სახალხო მეურნეობის ყველა რიგებში ქალთა შრომის ფართოდ შთანერგვა-გავრცელებისათვის, მუშა, მოჯამაგირე,*

კოლმეურნე, ღარიბ და საშუალო გლეხ-ქალთა მარქსისტულ ლენინური აღზრდისა და მათი შემდგომი დარაზმვისათვის ლენინიზმის დროშის ქვეშ და პარტიის გენერალური ხაზის მტკიცედ გატარებისათვის.

9. საოლქო და სარაიონო კომიტეტებმა 8 მარტისთვის ჩაატარონ ქალთა აქტივის, დამკვრელი ქალების, მუშა და კოლმეურნე ქალების, ქალთა საწარმოო თათბირების თავმჯდომარეების, ბრიგადირების, საბჭოს წევრების, დელეგატ ქალებისა და სხვათა სარაიონო კონფერენციები, რომლებზედაც განიხილონ გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარებასთან, სამრეწველო-საფინანსო გეგმების შესრულებასთან და სადაელეგატო კრებების გადარჩევასთან დაკავშირებული საკითხები.

13. წინადადება მიეცეს საქ. კინომრეწველობას შეარჩიოს შესაფერისი კინოფილმები 8 მარტისათვის ქალაქად და სოფლად; რადიოცენტრმა მოაწყოს რადიოგადაცემა აღნიშნული კამპანიების საკითხებზე. ყველა ეს საკითხები წინასწარ შეთანხმებულ იქნეს საქ. კ. პ. (ბ) კულტპროპვანყოფილებასა და აგიტმასგანყოფილებასთან.

14. პარტორგანიზაციებმა 8 მარტის დღესასწაულს დაუკავშირონ საუკეთესო დამკვრელ მუშა და კოლმეურნე-ქალთა მიღება პარტიაში და ლენინურ კავშირში.

15. რესპუბლიკური და რაიონული გაზეთების რედაქციებმა უზრუნველყონ ამ კამპანიების მომზადებისა და მიმდინარეობის გაშუქება პრესაში და სათანადო წერილების მოთავსება 8 მარტისა და დელეგატ-ქალთა გადარჩევის შესახებ

16. 8 მარტს მოეწყოს საბჭოთა პარტიული, პროფესიონალური, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საზეიმო სხდომები მუშების, მოსამსახურეების, კოლმეურნეებისა და ღარიბ-საშუალო გლეხთა მასების ფართო მონაწილეობით.

ეს საპროგრამო ხასიათის დოკუმენტი ნათლად ასახავს, თუ როგორ დაუკავშირდა 8 მარტი, ქალთა საერთაშორისო დღე, მარტის თესვის კამპანიას და ეკონომიკის ფაქტორმა ჩაანაცვლა მისი რეალური, ქალთა უფლებრივი ბრძოლის დატვირთვა.

1933 მთავრობამ წელს მეორე ხუთწლედი დაიწყო. შესაბამისად, 8 მარტს მთავარი ლოზუნგი ისევ ქალების მრეწველობაში ჩაბმაა. ამავე დროს, ჟურნალი იუწყება, რომ 8 მარტის პირველი აღნიშვნიდან 20 წელი გავიდა და ამ თარიღს

შემაჯამებელ სტატიას უძღვნის: „არც ერთი რევოლუცია არ მომხდარა არასოდეს ქალთა მონაწილეობის გარეშე, მაგრამ არც ერთ რევოლუციას მთელ მსოფლიოში არ მიუზიდავს მშრომელ ქალთა მასები ისე ღრმად და ისე ფართოდ, როგორც ეს ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ გააკეთა“ („მშრომელი ქალი“, #2-3, გვ. 3). ამ ფონზე, შემდეგი სტატიის ავტორი, ხაზს უსვამს 20 წლის განმავლობაში მიღწეულ “პროგრესს”: „გვაგონდება განვლილი წლები, 1920 წელი, კავკავი, გასაბჭოების პირველი ხანები, 8 მარტის პირველი დღესასწაული, დიდი სიძნელით მოწვეული პირველი საქალაქო კონფერენცია მთიელთა რესპუბლიკის ქალებისა, იგუში, ჩაჩანი, ოსი და მთის ებრაელი ქალებისა და სხვ. მოეწყო დემონსტრაცია და ერთბაშად გაისმის შემზარავი ხმა ხალხში, 14 წლის ბიჭი მიმართავს თავის 17 წლის დას და ეუბნება: „წადი შინ, ნუ გვარცხვენ, თორემ ყელს გამოგჭრი“ 1921 წელი. პირველი საქალაქო კონფერენცია თურქი ქალებისა ტფილისში, მაიდანზე. თურქ ქალს მიაქვს დროშა, მას ზიზღით და ლანძღვა-გინებით ხვდებიან მედუქნეები და თურქი მამაკაცები. დემონსტრაციას უშენენ ყუთებს, ცოცხებს, ქვებს. აი, აღმოსავლეთის დაშინებული მონების სურათი, რომელნიც ამ სურათის გადაღების დროს თავიანთ სახეს მალავენ; ადათი მათ ამას უკრძალავს“. შემდეგ კი კომუნისტური პარტიის მიერ მეურნეობასა და ინდუსტრიაში ქალების ჩართვას გვახსენებს. ამ “პროგრესის” საილუსტრაციოდ მომდევნო სტატიებში მოყვანილია სხვადასხვა რეგიონში სოცშეჯიბრებებში ჩაბმული ქალების რიცხვი, დაჯილდოებული დამკვრელები და სხვა.

იგივე თემა გრძელდება 1934 წლის ერთადერთ სარვამარტო სტატიაშიც, სადაც აღწერილია ქალთა მიღწევები და სამომავლოდ შესასრულებელი გეგმები. აქვე ყურადღება მახვილდება სამუშაო ადგილზე სქესის ნიშნით დისკრიმინაციაზეც: “სრულიად უნდა აღმოიფხვრას ქალთა შრომის - დღეების მიწერა ქმრის, ან ოჯახის სხვა წევრთათვის" („მშრომელი ქალი“, 1934, #2, გვ. 7).

1935 წლისთვის ჟურნალი უკვე აქტიურად ცდილობს იმის ჩვენებას, რომ ქალთა თანასწორობა საბჭოთა კავშირში მიღწეულია. ამის საილუსტრაციოდ 1936 წლის 8 მარტის სტატიაში ჩამოთვლილია გამოჩენილი ტრაქტორისტი ქალები, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის სფეროში დაწინაურებული ქალები, თუმცა, ორივე წელს 8 მარტის სტატიების მთავარი თემა არა ქალთა უფლებები, არამედ კლასობრივი ბრძოლა და რევოლუციაა. 1937 წელსაც პარტია აცხადებს, რომ “8 მარტის 27-ე წლისთავს პროლეტარული რევოლუციის მიერ მინიჭებულ უფლებებს იყენებს ქალი” („მშრომელი ქალი“, #3, გვ. 2). ხოლო 1938 წელს - “8 მარტი ჩვენში, საბჭოთა კავშირში, არის ლენინ-სტალინის დიადი პარტიის გარშემო საბჭოთა კავშირის მშრომელ ქალთა

მასების შემჭიდროვების დემონსტრაციისა და ქალთა გათავისუფლების ფრონტზე მოპოვებულ მიღწევათა შემოწმების დღე.” („მშრომელი ქალი“ 1938, #9, გვ. 2-3) 1936 წლიდან მოყოლებული, 8 მარტზე “მშრომელ ქალში” თანდათან უფრო იშვიათად იწერება. 1939 წლისათვის კი 8 მარტი მოხსენიებულია როგორც "მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიდ იდეათა დღესასწაული” („მშრომელი ქალი“, 1939, #3 გვ.2).

„დედაკაცების უქმიდან“ „დიად იდეათა დღესასწაულამდე“

8 მარტის სათაურებისა და მათი შინაარსობრივი დატვირთვის დინამიკა აჩვენებს, თუ როგორ დაიკარგა ქალთა საერთაშორისო დღის თავდაპირველი, ფემინისტური მნიშვნელობა და კომუნისტურმა პარტიამ ეს თარიღი მიითვისა. ამ პროცესს ადასტურებს 1924 წლის “ჩვენ გზაში” 8 მარტის შესახებ გაკეთებული განმარტება, რომ “ეს დღეს არ არის ქალთა კერძო საქმე, ეს დღე კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელობით იმართება ყველა კომუნისტურ ქვეყანაში” („ჩვენი გზა“, 1924, #5 გვ. 3). ამ პროცესის გაგრძელებაა 1933 წლის სარვამარტო სტატიიდან ციტატა: “ამ დღემ მტკიცედ შეაკავშირა მშრომელი ქალები კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო” („მშრომელი ქალი“, 1933, #2-3, გვ. 8). მას თანდათან ღიად მიენიჭა სტატუსი ინსტრუმენტისა, რომელსაც ყოველწლიურად მეტი ქალი უნდა ჩაება წარმოებაში. ეს, და ისიც, რომ ქალთა ჟურნალებიდან 8 მარტს უმეტესწილად კაცები საუბრობდნენ და რომ პროპაგანდის საშუალებები ფართოდ გამოიყენებოდა, ცხადყოფს, რომ ქალების საშუალება არ ჰქონდათ, დამოუკიდებლად გაემახვილებინათ ყურადღება საკუთარ საჭიროებებზე.

8 მარტის სახეცვლილების პროცესის შესწავლა, ვიმედოვნებთ, ხელს შეუწყობს მისი თავდაპირველი ფუნქციის დაბრუნებას საქართველოში. ის დაეხმარება ფემინისტ აქტივისტებსა და ქალთა უფლებადამცველებს, ასევე, 8 მარტის ღონისძიებების მომავალ ორგანიზატორებსა და მონაწილეებს მისი ისტორიის კრიტიკულად გააზრებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

ნეტგაზეთი. 2014. “8 მარტი - ქალთა უფლებებსა და პრობლემებზე საუბრის დღე”. 8 მარტი //netgazeti.ge/news/29996/

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ბიოგრაფიული ლექსიკონი.

საყვარელიძე ფრიდონ, რედაქტორი: ანა ჭაბაშვილი. 1999. „პროპაგანდა“, ადამიანის უფლებათა ლექსიკონი. თბილისი: დასი

სტალინური სიები საქართველოდან http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=26

სურგულაძე აკაკი, პაატა სურგულაძე, 1991. “”საქართველოს ისტორია 1783-1990 (საკითხავი წიგნი). თბილისი: საქართველოს მაცნე.

ფემინისტების დამოუკიდებელი ჯგუფი, 2011. https://www.facebook.com/pg/independentfeminists/photos/?tab=album&album_id=393431294026746

ფემინისტების დამოუკედებლი ჯგუფი, 2012. https://www.facebook.com/pg/independentfeminists/photos/?tab=album&album_id=393459170690625

ფემინისტების დამოუკედებლი ჯგუფი, 2013. https://www.facebook.com/independentfeminists/photos/a.493740293995845.1073741826.393429824026893/493740320662509/?type=3&theater&hc_location=ufi

Arc, Stéphanie, 2016, “Women’s Day: the True Story of March 8th”, The French National Center for Scientific Research. https://news.cnrs.fr/articles/womens-day-the-true-story-of-march-8th

Atwood, Lynne, 1999, “Creating the New Soviet Woman: Women’s Magazines as Engineers of Female Identity, 1922-1953”, New York: Macmillan Press Ltd.

Conquest, Robert, Richard E. Pipes and others, 2018, ”Soviet Union”, Encyclopædia Britannica. https://www.britannica.com/place/Soviet-Union/The-U-S-S-R-from-the-death-of-Lenin-to-the-death-of-Stalin#ref42055

Fairclough, Norman, 1989, ”Language and Power”, London: Longman

Goldman Z. Wendy, 2002, “Women at the Gates: Gender and Industry in Stalin's Russia”, Cambridge University Press.

Goldman Z. Wendy, 1993, “Women, State and Revolution: Soviet Family Policy and Social Life, 1917-1936”

Kaplan, Temma, “On the socialist origins of International Women’s Day”, Feminist Studies 11, No. 1 (1985), pp. 163-171.

Marx, Karl, 1842. “On the Freedom of Press”. https://www.marxists.org/glossary/terms/c/e.htm#censorship

Smith, Bruce Lannes, 2017¨. “Propaganda”, Encyclopædia Britannica. https://www.britannica.com/topic/propaganda